შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის
ბრძანება № 01-01/58

თბილისი **“ 06 “ სექტემბერი 2018 წ.**

შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის ვადების, ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნ–ის წესდების მე–5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.09. 2018 წ. ბრძანების 809/ი, გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დამტკიცდეს 2018-2019 სასწ/წ შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის ადგილები:**
   <u>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი</u>
   საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

   - ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 10 ადგილი;
   - ტურიზმი - 10 ადგილი;
   - ჟურნალისტიკა - 4 ადგილი;
   - ფსიქოლოგია - 7 ადგილი.

   სამართლის ფაკულტეტი
   საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
   - სამართალი - 10 ადგილი.

2. **2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:**

   - ✓ სტუდენტის რიგგარეშე მობილობის თაობაზე წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადა - **2018 წ. 10 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით;**
   - ✓ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა - **2018 წლის 21 - სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით**
   - ✓ სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2018 წლის 2 ოქტომბერი.**

3. **განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან/და პასპორტის ასლი;
- ✓ 2 ფერადი (3x4) ფოტოსურათი და ელ. ვერსია CD-ზე;
- ✓ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);
- ✓ სამხედრო-სავალდებულო აღრიცხვის მოწმობის ასლი;
- ✓ სწავლის ქირის ¼ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ბანკი თიბისი).

- საბუთების მიღება დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს;
- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
- ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი გიორგი მათიაშვილი